

საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის პრობლემები

2025 წლის აპრილში მოსახლეობის ძირითადი საჭიროებების შესწავლის მიზნით დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლები საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მდებარე, შიდა ქართლის რეგიონის სოფელ ერგნეთსა და ზემო ნიქოზში იმყოფებოდნენ.

სოფელი ერგნეთი

ზოგადი მიმოხილვა

სოფელი ერგნეთი აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის მხარის გორის მუნიციპალიტეტში (ტირძნისის ადმინისტრაციული ერთეული) მდებარეობს. ის მდ. ლიახვის მარცხენა ნაპირას, ზღვის დონიდან 840 მ-ზე, ქალაქ გორიდან 28 კმ-ის დაშორებითაა და ცხინვალს ესაზღვრება.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ყველაზე მეტად სოფელი ერგნეთი დაზარალდა. სოფელში შესულმა ოკუპანტებმა [სახლების 90% ჯერ გამარცხეს](#). შემდეგ კი გადაწვეს, სრულად განადგურდა სოფლის ინფრასტრუქტურა. ომს 12 ადგილობრივი მოსახლის სიცოცხლე ემსხვერპლა.

2014 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, სოფელში 457 ადამიანი ცხოვრობდა. ამ ეტაპზე, ადგილზე გასაუბრებით ირკვევა, რომ სოფელში საცხოვრებელი სახლების დიდი უმრავლესობა მიტოვებულია.

სოფელს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი აქვს მინიჭებული. მიუხედავად იმისა, რომ ერგნეთი სარგებლობს [კანონმდებლობით დადგენილი გარკვეული შეღავათებით](#), ადგილობრივები ჩამოდიან იზვიათად და ძირითადად საკუთარი ხარჯებით უწევთ სამეურნეო საჭიროებების დაკმაყოფილება და კარ-მიდამოს მოვლა-პატრონობა. შეღავათებია ასევე სამედიცინო და განათლების სფეროს წარმომადგენლებისთვის, თუმცა სოფელში არ არის ბაღი, სკოლა და სამედიცინო პუნქტი.

ინფრასტრუქტურული გამოწვევები და მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა

[წლებია სოფელში](#) პირველადი საჭიროების პროდუქტების შესაძენად მაღაზია არ აქვთ. სოფელში არ არის აფთიაქი და ბაღი. რაიონს არ ემსახურება მუნიციპალური ტრანსპორტი. ორი კერძო სამარშრუტე ტაქსი, რომლის ღირებულება ერთი მიმართულებით 2.5 ლარია, ხშირი განრიგით არ მოძრაობს. პურის საყიდლადაც კი მოსახლეობას უახლოეს მაღაზიამდე მგზავრობა 5 ლარი უჯდება.



მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს განათლების და დროული სამედიცინო მომსახურების მიღებაზე. სკოლა და საბავშვო ბაღი უახლოეს სოფლებში - მელვრეკისსა და ტირძნისშია. შესაბამისად, მიმდებარე სოფლებიდან, მათ შორის ერგნეთიდან, ბავშვეი სოფ. ტირძნისის ბაღში დაყავთ. გორიდან დაახლოებით 14-მდე მასწავლებელს უწევს ჩამოსვლა.

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მიტოვებულ სახლებში ადგილობრივი მოსახლეობის დაბრუნების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნა . ეს გაუმარტივებს გადაადგილებას როგორც სოფლის მოსწავლეებს, ასევე გორიდან ჩამოსული მასწავლებლებს. ამასთანავე ხელს შუწყოს სამედიცინო საჭიროებების მქონე პირებს დროულად მიმართონ გორში მდებარე სამედიცინო დაწესებულებებს.

სოფლის მეურნეობა

გამოწვევებია სასოფლო-სამეურნეო მიწის დამუშავებასთან დაკავშირებით. სოფლის მოსახლეობას არ აქვს სახნავ-სათესი სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკა. ამასთან, საოკუპაციო გამყოფ ხაზსთან მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებთან მისვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც ადგილობრივებს საქართველოს სამხედრო ან საპოლიციო ძალების შეიარაღებული თანაშრომელი მიყვება. ეს ბევრ რა თმა უნდა ბევრ სირთულეს იწვევს, მათ შორის მიწის ნაკვეთის დროული დამუშავების და გამოყენების კუთხით.

მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაციისთვის მოსახლეობა გორში ჩადის. ეს პროცესი დღემდე დასრულებული არ არის .



2008 წლის აგვისტოს ომის მუზეუმი

2017 წელს ადგილობრივმა მაცხოვრებელმა, ლია ჩლაჩიძემ, საკუთარ სახლში, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაბომბვას გადაურჩა, მუზეუმი დაარსა. მუზეუმი USAID-ის მხარდაჭერით გაიხსნა. მუზეუმი ინარჩუნებს ხსოვნას საომარი მოქმედებებისა და დაზარალებული

მშვიდობიანი მოქალაქეების შესახებ. ის ასევე ხაზს უსვამს ეთნიკურ ქართველებსა და ოსებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის მნიშვნელობას.

მიუხედავად ქ-ნი ლიას არაერთი მცდელობისა, მუზეუმი რეგისტრირებული არ არის და მას ოფიციალური სტატუსი არ აქვს. მუზეუმის დარეგისტრირების მიზნით, მან მიმართა როგორც სახელმწიფო რეესტს, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, თუმცა ვერც რეგისტრაცია და ვერც რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების შესახებ ინფორმაცია ვერ მიიღო.

სოფელი ზემო ნიქოზი

სოფელი ზემო ნიქოზი აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის მხარის გორის მუნიციპალიტეტში (ნიქოზის თემი) მდებარეობს. ის მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 850 მ-ზე, გორიდან 30 კილომეტრის დაშორებითაა. ეს სოფელიც ცხინვალს ესაზღვრება. 2014 წლის საქართველოს



მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, სოფელში 643 ადამიანი ცხოვრობდა. 2024 წლის მოსახლეობის აღწერის პირველადი მონაცემი გამოქვეყნდება 2025 ივნისში, მაგრამ ადგილზე გასაუბრებით ირკვევა, რომ სოფელში დაახლოებით 500-მდე მაცხოვრებელია.

ინფრასტრუქტურული გამოწვევები

ადგილზე ინფრასტრუქტურა მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია, თუმცა აქაც მოსახლეობა ძირითადად საკუთარი ძალებით ახდენს კარ-მიდამოს მოვლა-პატრონობას. ამ სოფელშიც მაღალი მიგრაციაა და სახლების დიდი ნაწილი მიტოვებულია. მაგ, ერთ-ერთ ქუჩაზე მხოლოდ 4 მოსახლე ცხოვრობს, აქედან ორი ასაკოვანი ქალბატონია.

სოფელში ერთ-ერთი მწვავე პრობლემა ცხინვალიდან წყლის მილებში ფეკალური მასების ჩაღვრაა, რამაც მოსახლეობის, მათ შორის რამდენიმე ბავშვის, მოწამლვა გამოიწვია. მოსახლეობა ამბობს, რომ ეს პრობლემა რამდენიმე წელია გრძელდება, თუმცა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დღემდე არაფერი გაუკეთებია. არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა შესაბამის სახელმწიფო უწყებებს მიმართა და გამოითხოვა მოსახლეობისთვის წყლის მილების დაბინძურებით გამოწვეული ზიანის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.



საქართველოს მასშტაბით მოსახლეობის გადაადგილების ხელშესაწყობად,

ადგილობრივების ერთ-ერთ თხოვნად თბილისის მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა დასახელდა. მათი განმარტებით, ეს გაამარტივებს სოფლის დაკავშირებას საქართველოს მსხვილ



ადმინისტრაციულ ცენტრებთან, გაუადვილებს გადაადგილებას და სოფლის მეურნეობის პროდუქტის რეგიონულ ცენტრებში მიწოდებას.

სოფელში არის საფეხბურთო მოედანი, რაც ნაწილობრივ აკმაყოფილებს სოფელში მცხოვრები ახალგაზრდების ხელმისაწვდომობას გასართობ და სპორტულ აქტივობებთან, მაგრამ მცირე ასაკის ბავშვებისთვის არანაირი სარეკრიაციო ან გასართობო სივრცე არ არსებობს.



სოფლის მეურნეობა

სოფლის მოსახლეობას აქვს მოყვანილი მოსავლის რეალიზების პრობლემა. პრობლემას აწყდებიან ასევე სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების მოვლა-პატრონობის კუთხით. ძირითად, ეს სამუშაოები მოსახლეობის პირადი სახსრებით ხორციელდება, რასაც ყველა ოჯახი ვერ წვდება. ერგნეთისა და ზემო ნიქოზის სოფლებში მოუგვარებელია ყოფითი პრობლემები, მათ შორის (განსაკუთრებით ერგნეთში) სახეზეა ისეთი რესურსების სრულფასოვანი გამოყენების მწვავე პრობლემა, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო მიწები, შეზღუდულია წვდომა მედიკამენტებსა და პირველადი საჭიროების პროდუქტებზე, არსებობს ჯამრთელობისთვის საფრთხის შემცველი ისეთი გადაუჭრელი გარემოებები, როგორცაა წყლის დაბინძურება (სოფელ ზემო ნიქოზში).

სოფლების საჭიროებებს შესწავლის შედეგად აუცილებელია პირველ ეტაპზე მოგვარდეს შემდეგი საკითხები:

სოფელ ერგნეთში დაინიშნოს მუნიციპალური ტრანსპორტი;

ზემო ნიქოზში მოგვარდეს წყლის დაბინძურების პრობლემა;

განხორციელდეს სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერის პროგრამები.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სოფელ ერგნეთში არსებული 2008 წლის აგვისტოს ომის მუზეუმის ოფიციალური აღიარება და მისი დახმარება. მუზეუმი წარმოადგენს მნიშვნელოვან შესენებას რეგიონის მშვიდობის და შერიგების პროცესის საჭიროების შესახებ.